თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მივაწოდოთ წყალი ზემოდან ქვემოთ

იხილეთ მე-2 გვერდზე

იურიდიული კონსულტაცია მათთვის, ვისაც ონლაინ სესხები აქვს

იხილეთ მე-3 გვერდზე

№6 (745) 13 ივნისი , 2016 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

„საარჩევნო მარათონმა“ ოფიციალური სტარტი აიღო

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებასთან დაკავშირებით ცსკო ინფორმაციას ავრცელებს

საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართება. პარლამენტის არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით ცესკოში საინფორმაციო ბრიფინგი გაიმართა, სადაც ცესკოს სპიკერმა ანა მიქელაძემ მედიას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდა.

„8 ივნისიდან ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია და ამოქმედდა საარჩევნო კანონმდებლობის ის მუხლები, რომლებიც განმარტავენ საარჩევნო კამპანიის წარმოების წესებს და რეგულაციებს, — აღნიშნა ანა მიქელაძემ. როგორც მან ჟურნალისტებს განუმარტა, პარტიას, რომელსაც პარლამენტში ჰყავს წარმომადგენელი, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, შეუძლია, განცხადებით მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს 12 აგვისტოსი. ხოლო, პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, შესაძლებლობა ჰქონდათ, არჩევნების თარიღის დანიშვნამდეც მიემართათ ცესკოს თავმჯდომარისთვის. მათთვის განცხადებით მიმართვის ბოლო ვადა 1 აგვისტოა, ასევე, 8 ივნისიდან საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენელებს აქვთ შესაძლებლობა, რეგისტრაციისთვის მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მოცემული დროისთვის, ცესკოს თავმჯდომარეს რესგისტრაციის მიზნით უკვე **მიმართა 28-მა პოლიტიკურმა პარტიამ,** მათგან 5-მა კი უკვე გაიარა რეგისტრაცია.

1 მაისის მდგომარეობით, ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებულია 3 473 316 ამომრჩეველი.

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის არჩევნების ორგანიზებას ამ ეტაპზე შექმნილ 3 634 საარჩევნო უბანზე.

ცესკოში გამართულ სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის არჩევნებისთვის დამტკიცა **საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი.** ასევე, არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის:

1. დამტკიცდა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქცია;
2. დადგინდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარსადგენად საჭირო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა;
3. გამოცხადდა საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსები.

საარჩევნო ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ არჩევნებში ჩართულმა ყველა მხარემ განახორციელოს საქმიანობები საქართველოს კანონმდებლობისა და აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაცია წარმატებას უსურვებს არჩევნებში ჩართულ ყველა მხარეს!

ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონს რამაზ შენგელიას სახელი მიენიჭა

ქუთაისში საფეხბურთო გუნდ „ტორპედოს“ მთავარ სტადიონს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის,რამაზ შენგელიას სახელი მიენიჭა. რამაზ შენგელია ქუთაისის “ტორპედოს”, თბილისის “დინამოსა” და საბჭოთა კავშირის ნაკრების N1 ფორვარდი იყო. ასევე, 1978 წელს სსრკ-ის ჩემპიონი, ამავდროულად საუკეთესო თავდამსხმელი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. 1979 წელს სსრკ-ის თასი მოიგო, 1981 წელს თასების თასი და 1980 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა 20-წლამდელთა შორის.

სსრკ-ის ჩემპიონატის რჩეული ფეხბურთელი გახდა 1981 წელსაც. 1982 წელს კი მუნდიალზეც ითამაშა და რა თქმა უნდა, გოლის გარეშე არ დაუტოვებია. ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე რამაზ შენგელიას სახელის მინიჭების ცერემონიალს ქუთაისის მერი შოთა მურღულია, იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე , თვითმართველობის წარმომადგენლები და რამაზ შენგელიას ოჯახის წევრები ესწრებოდნენ. დღესვე ,,ტორპედოს „ და ,,დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელებს შორის მეგობრული მატჩი გაიმართება. სტადიონზე წარმოადგინეს რამაზ შენგელიას ძეგლის ესკიზი, რომელიც უახლოეს ხანში სტადიონზე დაიდგმება.

PS news.ge

ISSN 1987-7056

მადლობა

სიკეთის წილ...

ვიმედოვნებ, მეთანხმებით, რომ ჩვენი ყოფა პარადოქსებით არის მოცული. არადა, თუკი სიბრძნეს დავესეხებით, შემთხვევით არაფერი ხდება (სერვანტესი)! ანუ ამ ჩვენს ყოფას ისევ ჩვენვე (ხალხი) ვქმნით (თუნდაც არაცნობიერად), რადგან, როცა საერთოდ მთავრობა ვერ (არ) არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ხალხმა უნდა ვივარგოთ, ჩვენს სიმაღლეზე ვიდგეთ. მაგრამ... და სწორედ ეს მაგრამ არის მთავარი და არსებითი. მოკლედ, ფილოსოფიაში რომ არ შევიდეთ (მგონი, არც არის საჭირო), აჯობებს, მკაფიოდ ვთქვა:

აღმოვჩნდი უმწვავეს მდგომარეობაში, რაც გარკვეული სტრუქტურის მხრიდან ხელოვნურად შექმნილად მივიჩნიე (იყო ამის საფუძველი). რაც შეეხება პარადოქსებს, როგორ ფიქრობთ, თუნდაც ხელისუფლება გადადგამს კი ამგვარ ნაბიჯს, მოსახლეობის სახით, სერიოზულ, ანგარიშგასაწევ ძალას რომ ხედავდეს? რა თქმა უნდა — არა! იძულებული გავხდი, მიმეღო სათანადო ზომა, რის ფონზეც ქალაქის საკრებულოს წევრმა, ბატონმა **სამსონ გუგავამ** (ლეიბორისტული პარტია(თანადგომა აღმითქვა. ამდენად, მისივე ძალისხმევით საკითხი დადებითად გადაიჭრა. ეს წერილიც სამადლობელია მის მიმართ!

პატივისცემით, **აკაკი გვარაკიძე**

შეხვედრა საჯარო სკოლების დირექტორებთან

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი და მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები სკოლის დირექტორებს შეხვდნენ, სასწავლო წლის დასრულება მიულოცეს და გაწეული მუშაობისათვის მადლობა გადაუხადეს.

ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ გასული სასწავლო წლის მანძილზე საჯარო სკოლებისათვის რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროგრამა განახორციელა. სხვადასხვა სკოლებს დაუფინანსდა გარე ფასადის სამუშაოები და სპორტული მოედნების მოსაწყობად წარმოდგენილი პროექტები. ამასთან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სკოლებთან სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები და საგზაო ნიშნები დამონტაჟდა. მიმდინარე წელს საერთაშორისო კონკურსებსა და ოლიმპიადებზე ქუთაისის მოსწავლეების დაფინანსების კუთხით ქუთაისის მერიამ 100-მდე სკოლის მოსწავლე დააფინანსა.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

მივაწოდოთ წყალი ზემოდან ქვემოთ

სიტყვას ითხოვს მკითხველი

ღმერთის წყალობით შეიქმნა დედამიწაზე გონიერი არსებისთვის სასურველი სასიცოცხლო პირობა, და შეიქმნა ადამიანი, რომლისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს გარკვეული გარემო, ატმოსფერო, ნიადაგი და წყალი. ამ პირობიდან ჩვენი მდგომარეობის განსაზღვრა ხდება ყველა კომპონენტის მიხედვით. რაც სტერილური და ახლოა აღნიშნული კომპონენტები ბუნებრივთან, მით უფრო ჯანმრთელი, სიცოცხლის უნარიანი და ბუნებრივ შესაძლებლობებთან მიახლოებულია გონიერი არსება.

2004 წელს იმერეთის სოციალური პოლიტიკის სამუშაო ჯგუფის მიერ გამოშვებული იქნა მცირე მოცულობის ბროშურა „წყალი — ქვეყიერების მეუფე", რომლის შექმნის ძირითადი ინიციატორები იყვნენ ფონდი „ჰორიზონტი" და „CARE International". ჯგუფის ნამუშევარმა და დამატებით დანარჩენი არასამთავრობო ორგანიზაციების შეხსენებამ სათანადო შედეგი გამოიღო და იმერეთში — ქუთაისიდან დაიწყო სახელისუფლებო შტოებმა ზრუნვა წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგებისაკენ. თუმცა, იგი დღემდე მოუწესრიგებელია, ვერ ვიტყვით, რომ თანხები ამ მიმართულებით არასაკმარისია ან ეფექტურად იხარჯება.

წარმოდგენილი სტატიის არსს შეადგენს, საზოგადოებას ვაცნობო არსებული მდგომარეობა და ერთხელ კიდევ შევატყობინოთ ხელისუფლებას, რომ ჩვენც რაღაცებს ვხვდებით. მაშ, ასე, დღეისათვის იმერეთის პირობებისათვის არსებული მდგომარეობა შემდეგია:

— იმერეთში არსებული 12 მუნიციპალიტეტთან ცენტრალური წყალმომარაგების ქსელი აქვს 11-ს (არა აქვს ვანს).

— საკუთარი რესურსით იკვებება 10 მუნიციპალიტეტი (საკუთარი წყარო არ გააჩნია სამტრედიას).

— მუნიციპალიტეტების წყალმომარაგება ხდება გრაფიკით;

— წყლის მიწოდების ტექნოლოგია, სისტემა, სტრუქტურა და მეთოდიკა გაუარესებულია, რაც წინა საუკუნის დასაწყისში გვქონდა.

დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, წყლის რესურსები საერთოდ, და მათ შორის — იმერეთის რეგიონში, საკმაოდ მოგვეძიება. აქვე აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგების მესვეურები ისე გაზარმაცდნენ, რომ წყლის გაწმენდისათვის თანხის დახარჯვა საერთოდ არ სურთ და ძირითადათ გამოიყენება მიწისქვეშა წყლები, რაც მოიპოვება კოლხეთის დაბლობზე, რის გამოც გარკვეულ სირთულეებთან გვაქვს საქმე (ელენერგიის გაზრდილი ხარჯი, პროდუქტის გაძვირება, ხარისხის გაუარესება). აქვე აღსანიშნავია, რომ გეოლოგიის პროფესორ, ბატონ ლევან ხარატიშვილს ნარკვევში „საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლები (რესურსები ათვისება დაცვა)" მოცემული აქვს ცხრილი, სადაც საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების სამრეწველო რესურსი აღემატება მის მოთხოვნილებას, საჭიროა მისი გამოყენება.

დღეის მდგომარეობით წყალი წარმოადგენს მომავლის პროდუქტს, რადგანაც მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, იზრდება მისი მოთხოვნილებაც და მოხმარებაც. ამდენად წყლის რესურსი სახელმწიფოებრივად წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს, რის გამოც იგი კონსტიტუციაში განსაზღვრულია, როგორც „განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული" (თავი პირველი, „ზოგადი დებულებები", მუხლი 3, პუნქტი ბ), რაც იკითხება შემდეგნაირად: „სახელმწიფოს საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა".

ამდენად, წყლის რესურსების პატრონად გვევლინება მხოლოდ სახელმწიფო და სხვა არავინ.

საქართველოში ჩამოედინება 26 ათასამდე დიდი, საშუალო და მცირე სიდიდის მდინარე, ჯამური სიგრძით 59.8 ათასი კმ. მდინარეების მიერ, საქართველოში მოსული ნალექების სახით, ზღვაში ჩაედინება 56,40 მ³/წმ წყალი, რომელსაც ემატება მეზობელი ქვეყნებიდან შემომატებული 8,74 მ³/წმ წყალი. ამდენად საქართველოს მტკნარი წყლის არათუ პრობლემა აქვს, არამედ მისი მოცულობა აჭარბებს კიდეც სახელმწიფოში არსებული მოთხოვნილებებს (კომუნალური, სამრეწველო, სარწყავი და სხვა).

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა – საქართველოს წყალს ჰყავს სერიოზული პატრონი – სახელმწიფო და მისი მოცულობა საკმაოდ აჭარბებს სახელმწიფო მოთხოვნას მოხმარების მხრივ. **ამდენად წყალი გვაქვს ჭარბი რაოდენობით**.

რა რაოდენობის წყალი გვჭირდება და რისთვის? — აღნიშნული საკითხის გასარკვევად მივაკითხოთ რეგულაციებს, რაც დაგვიწესა საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელმა კომისიამ ხალხისათვის კომუნალური ხასიათის ხარჯებისათვის. ასეთი წყლის რაოდენობა მოიცავს 60 მ³ სასმელ წყალს წელიწადში, ერთ სულ მოსახლეზე. ანუ საქართველოს მოსახლეობისთვის სასმელი წყლის რაოდენობისთვის დაგჭირდება 60X3 მილიონ ადამიანზე, რაც ტოლია 220 მლნ მ³ სასმელი წყლისა. მიღებული რიცხვი შეადგენს საქართველოში ჩამოდენილი წყლის ზღვაში ჩადინების 4 წმ-ში მოცულობას. ჩვენს მიერ გათვლილი კომუნალური მოხმარების წყლის გარდა, მხედველობაში მივიღებთ ყველა დანარჩენი სახის წყლის მოხმარებას, მაშინ მივხვდებით, რომ ერთ წუთში მიღებული წყლის რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე საკმარისია ყველა სახის წყლით დასაკმაყოფილებლად, გარდა ჰიდროენერგეტიკისა.

წყლის საერთო რაოდენობა სახელმწიფოსათვის საკმარისზე მეტია, დარჩა მისი ეფექტური ათვისება. გონივრულად მოხმარება კი აუცილებელია.

ჩვენდა საბედნიეროდ, საქალაქო, ანუ როგორც მას ვუწოდებთ — ურბანული წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია — საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი დაიწყო ქუთაისში. იგი დაიწყო 2008 წლის მეორე ნახევარში, დასრულდა 2010 წელს. უზრუნველყო ქუთაისში 8-საათიანი წყლის მიწოდება გრაფიკით და შეამცირა წყლის დანაკარგები ქსელში სამოცი პროცენტიდან ორმოცამდე, ანუ დაახლოებით 40%-ით, შეცვლილი იქნა ქსელისათვის მილგაყვანილობის მასალა, გაუმჯობესდა მოწოდებისა და აღრიცხვის პარამეტრები. მიუხედავად ასეთი წინსვლისა, საკმაოდ ჩამორჩება შემდეგი საკითხები:

- პარტნიორული ურთიერთობა მომხმარებელთან;
- გამჭვირვალობა;
- ეფექტურობა;
- მომჭირნეობა;
- მომავლის ხედვა;
- ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება სასმელი წყლისა და მომხმარებლის ხარჯზე და სხვა.

ეხლა ჩვენ გავარკვიოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა მომხმარებელთან და წყლის ფაქტორთან დაკავშირებით.

უკვე ჩამოყალიბებულ განხილვაში ჩვენ ბათილად ჩამოვაყალიბეთ წყლის აუცილებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში და მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობები სამშობლოში. ახლა განვიხილოთ შესაძლებლობების გამოყენება და მასთან დამოკიდებულება სამთავრობო სტრუქტურებიდან.

წყლის შესახებ ზრუნვა დაიწყო 2005 წლიდან (თანხის მოძიება, პროექტირება, შესწავლა, ანალიზი, სინთეზი, დაგეგმარება, მშენებლობა). აღმოჩნდა, რომ საქართველოში შედარებით მაღალი პასუხისმგებლობით წყლის საკითხს მოეპყრნენ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ბორჯომსა და ფოთში. აღნიშნულ ქალაქებში დღეისათვის მეტნაკლებად მოგვარებულია წყლით უზრუნველყოფის საკითხი, თუმცა აქაც პრობლემებია.

- წყალმომარაგების სისტემა, სტუქტურა;
- ტარიფის სიძვირე და მისი მეთოდიკის მიღება დისკუსიის საფუძველზე.
- წყლის ხარისხი და მიწოდების ხედვა; კონკრეტული გრაფიკით;
- დარგობრივი ხელმძღვანელობის უგულისყურობა, დაბალი პროფესიონალიზმი.

ამდაგვარად, წყლის პრობლემა საქართველოში საკმაოდ მწვავედაა და მის შესახებ ხედვა არავის ჩამოუყალიბებია, არც ერთი მიმართულებით. არავის გაუანალიზებია 2009-2010 წლების რეფორმა.

აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციამ ჩამოვაყალიბეთ რამოდენიმე საკითხისადმი ჩვენი მიდგომა ისე, როგორც ეს ჩვენ ვიგრძენით, შევთავაზეთ რამოდენიმე უწყებას. სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიმღებებმა ვერ/არ მიიღეს ჩვენი წინადადება, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ. ჩვენ ვთვლით, რომ სასმელი წყლით მომარაგების მესვეურები არ ითვალისწინებენ იმ ფასეულობას, რაც გვაქვს, რის შესახებ მათ უთითებენ სასულიერო, საერო და საერთაშორისო ორგანიზაციები, გამოცდილი ხალხი. ამან მიგვიყვანა თანხების უაზრო ხარჯვამდე (თუ არა — განიავებამდე, გაფლანგვამდე), დემოკრატიის პრინციპების უარყოფამდე (დეცენტრალიზაცია), ბუნებრივი მონოპოლიის კომერციულ მონოპოლიამდე მიყვანამდე და საერთოდ, ბუნებრივი პროცესების უარყოფამდე (წყალი მხოლოდ ზემოდან ქვემოთ მოედინება).

ჩვენი ორგანიზაცია გთავაზობთ, არსებული მდგომარეობიდან გამოვიდეთ ქვემოთ მოყვანილი მეთოდებითა და საშუალებებით.

1. სისტემა

გამოვიყენებთ ბუნებრივ თვისებას და წყალს მივაწოდებთ ზემოდან ქვემოთ (და არა ისე, როგორც ქუთაისში). აღნიშნული პირობის დასაკმაყოფილებლად მოგვიწევს წყლის რესურსების ძებნა-ძიება მაქსიმალურად მაღალი წერტილიდან თვითდინებით წყლის მისაღებად შესაძლებელი წყაროდან. ასეთი შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, მოითხოვს ცალკე მეურნეობას, რომელიც დაკავებული იქნება აღნიშნული საკითხით, ანუ რესურსით. ასეთ ორგანიზაციაში მოვიაზრებთ ჰიდროლოგებს, გეოლოგებს, წყლის ტრანსპორტიორებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ურბანულ ერთეულში სასმელი წყლის შემოტანას.

აღნიშნული ორგანიზაციის მოვალეობა იქნება:

— მოიძიოს, გამოიკვლიოს და დაასკვნას სასმელი წყლის რესურსი, განსაზღვროს მისი ხარისხი, შესაძლებლობა და რეჟიმი, ანუ ხელთ გვექნება სასმელი წყლის საბადო, რომელსაც განვათავსებთ ურბანული დასახლების ზემოთ, მივცემთ სასმელი წყლის ხარისხს და მივაწვდით ურბანულ დასახლებას.

სისტემის პირველი როგოლი იქნება წყლის მოპოვება და მისი მიყვანა სასმელი წყლის კონდიციამდე. ორგანიზაციულად ის ჩამოყალიბდება სახელმწიფოს მიერ როგორც სტრატეგიული ნედლეულის მფლობელი — მომპოვებელი ორგანიზაცია, რითაც დაკმაყოფილდება ერის, ბერის და კონსტიტუციის მოთხოვნები.

შემდეგი ეტაპი იქნება მიღებული სასმელი წყლის ტრანსპორტირება წყაროდან ურბანული დასახლების აუზებამდე და მისი უწყვეტობის უზრუნველყოფა, რომელიც შევა კომერციული ორგანიზაციის ვალდებულებაში და მისი მფლობელობის ვინაობა არავითარ სირთულეს თუ უხერხულობას არ წარმოადგენს.

შემდეგი ეტაპი იქნება ურბანული დასახლების მუნიციპალიტეტის ვალდებულება — მიღებულ წყალს გაუწიოს სადისტრიბუციო მომსახურება. აღნიშნული საკითხი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოვალოება, რითაც დაკმაყოფილდება დემოკრატიის პრინციპი დარგის დეცენტრალიზაციისა და შესრულდება საქართველოს კოდექსი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რაც დღეს არ არის ბოლომდე მოყვანილი მცირე შესწორებების გამო.

ამდენად, წარმოდგენილი სისტემა, რა თქმა უნდა, მოითხოვს კვალიფიციურ, ერთობლივ, მრავალმხრივ, გულმოდგინე განხილვას, მაგრამ ის შემდგომში იძლევა საკმაოდ დიდ ეფექტს, აკმაყოფილებს დემოკრატიის მოთხოვნებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხდება დარგის დეცენტრალიზაცია და დეკონცენტრაცია.

აღნიშნული სისტემის დანერგვისათვის საქართველო დღესვეა მზად ნაწილობრივ (შედარებით იოლად), ან მთლიანად — შედარებით ძვირად და ხანგრძლივად. ნაწილობრივ გადასვლის პროცესს — ვგულისხმობთ იმერეთის რეგიონს, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო მუნიციპალიტეტების მქონეა. საინტერესო მუნიციპალიტეტებში გამოვყოფდი ვანის მუნიციპალიტეტს, სადაც ცენტრალური წყალმომარაგების შესახებ ჯერ არაფერი ისმის და საჩხერის მუნიციპალიტეტს, სადაც ცენტრალიზებული წყალმომარაგების საკითხი აყვანილია უმაღლეს რანგში.

წინადადების ავტორების მიზანია: იქნებ, ხელმძღვანელობამდე მიაღწიოს წერილმა და მათ გაიგონ, რომ წყალს მარტო ფული არ ჰყოფნის, მას სხვა რაღაცაც სჭირდება.

ასოციაცია „ასა"-ს თავმჯდომარე
ზაზა ხელაძე

ქ

P.S. სტატიის დასაწყის გვახსენებს, რომ წყალი ღვთიურ

მცნებასთანაა დაკავშირებული, რაც საფუძველს იღებს მისი თვისებებიდან.

სწორედ წყლით მოხდა განათვლა, წყალთანაა დაკავშირებული ტერმინები:

შემიწყალე, მიწყალე, წყალობა და სხვა, რაც ერთხელ კიდევ, დამატებით

შეგვახსენებს მის ზეციურობასა და განსაკუთრებულ როლს.

სადაზღვევო კომპანია ალდაგმა მოსავლის დაზღვევა უკვე დაიწყო

სადაზღვევო კომპანია ალდაგმა მოსავლის დაზღვევა უკვე დაიწყო. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მესამე ეტაპი ფერმერებს გაუმჯობესებულ სადაზღვევო პირობებს სთავაზობს. ყველა ფერმერს, ვინც მაქსიმუმ 5 ჰექტარი ფართობის და მარცვლეული კულტურების შემთხვევაში, 30 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთს ფლობ, შესაძლებლობა ეძლევა დააზღვიოს მოსავალი ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკებისგან:

✓სეტყვა; ✓ჭარბი ნალექი ✓ქარიშხალი ✓საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ცტრუსის შემთხვევაში)

აგროდაზღვევის განახლებული პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს სადაზღვევო პრემიის 70/80:ს სახელმწიფო დაუფინანსებს. სუბსიდირება 50/60%-მდე გაიზრდება ვაზის დაზღვევის შემთხვევაშიც. სადაზღვევო კომპანია ალდაგი ფერმერებს საქართველოს ბანკთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედოსთან ერთად დარჩენილი პრემიის გადახდის მოქნილ და გამარტივებულ სქემას სთავაზობს.

მაგალითისთვის, 1 ჰექტარი ხორბლის ნათესის დაზღვევისთვის, თუ მოსავლის სახით უნდა მიიღოს 3 ტონა პროდუქცია, რომლის სადაზღვევო ლიმიტი 1,500 ლარია, დარეგისტრირებულ ნაკვეთის შემთხვევაში ფერმერს

18 ლარის გადახდა მოუწევს. დაურეგისტრირებელი ნაკვეთის შემთხვევაში 27 ლარის გადახდა მოუწევს, პრემიის დანარჩენ ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს.

მაგალითისთვის, 1 ჰექტარი ვაშლის ბაღის დაზღვევისთვის, თუ მოსავლის სახით უნდა მიიღოს 25 ტონა პროდუქცია, რომლის სადაზღვევო ლიმიტი 25,000 ლარია, დარეგისტრირებულ ნაკვეთის შემთხვევაში ფერმერს 400 ლარის გადახდა მოუწევს. დაურეგისტრირებელი ნაკვეთის შემთხვევაში 600 ლარის გადახდა მოუწევს, პრემიის დანარჩენ ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს.

მაგალითისთვის, 1 ჰექტარი ატმის ბაღის დაზღვევისთვის, თუ მოსავლის სახით უნდა მიიღოს 23 ტონა პროდუქცია, რომლის სადაზღვევო ლიმიტი 13,800 ლარია, დარეგისტრირებულ ნაკვეთის შემთხვევაში ფერმერს 220.80 ლარის გადახდა მოუწევს. დაურეგისტრირებელი ნაკვეთის შემთხვევაში 331.20 ლარის გადახდა მოუწევს, პრემიის დანარჩენ ნაწილს სახელმწიფო ანაზღაურებს.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემდეგი კულტურების დაზღვევაა შესაძებელი:

✓მარცვლეული, პარკოსანი, ბოსტნეული, ბაღჩეული, კენკროვანი, კაკლოვანი და სუბტროპიკული კულტურები

✓ხეხილი, ✓ციტრუსი ✓ თეთრ ყურძნიანი ვაზის ჯიში ✓ წითელ ყურძნიანი ვაზის ჯიში

ქუთაისელ მოსწავლეს „აგლია აბზიანიძის სახელობის სტიპენდია“ დაენიშნა

ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო სკოლის განვითარებაში არაერთი მოღვაწე, კურსდამთავრებული თუ ორგანიზაცია მონაწილეობს. მათ შორისაა ქუთაისის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ბატონი ვაჟა ჯულელი, რომელმაც თავისი პირადი სახსრებით, სკოლის წარჩინებულ, მე-11 ა კლასის მოსწავლეს, მათე შარვაძეს „აგლაია აბზიანიძის სახელობის სტიპენდია“ დაუნიშნა.

მათე შარვაძე

ვაჟა ჯულელი

ქალბატონი აგლაია აბზიანიძე, ბატონი ვაჟას დედა, ჩვენი სკოლის ღვაწლმოსილი მასწავლებელი გახლდათ 1975-2009 წლებში. სკოლაში გახსნილია მისი სახელობის მათემატიკის კაბინეტი იმ ამაგის პატივსაცემად, რომელიც მან მოღვაწეობის წლებში გასწია სკოლისა და მოსწავლეთა განვითარებისათვის.

ჩვენ ბატონ ვაჟა ჯულელს ვესტუმრეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

- ბატონო ვაჟა, იქნებ თავად გვიამბოთ,რა გაკავშირებთ ჩვენს სკოლასთან?

- დედაჩემი, აგლი, თქვენი სკოლის მასწავლებელი იყო, გარდა ამისა, ბოლო წლებში, მეც ვსწავლობდი ზემოთ ხსენებულ სკოლაში (VIII, IX კლ.). „ფიზ-მათი“ დაამთავრეს ასევე ჩემმა დამ, ქეთევან ჯულელმა და მისმა მეუღლემ, მერაბ კვიცარიძემ. ჩვენმა შვილებმაც - გიორგი კვიცარიძემ და დავით ჯულელმა.

- გარდა კეთილშობილური განზრახვისა, სტიპენდიის დანიშვნას უფრო დიდი მიზანი აქვს?

- რა თქმა უნდა. მინდა, რომ გარკვეული სტიმული მისცეს სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს.

- როგორც ჩვენ ვიცით, ქალბატონი აგლი მასწავლებელთა მასწავლებელი იყო... მკაცრად გზრდიდათ შვილებს?

- არა, ის ხელით არასდროს შეგვხებია, თუმცა, მისი მკაცრი გამოხედვა ზოგჯ ერ უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე შეიძლება, ფიზიკური დასჯა ყოფილიყო. ყოველთვის სამართლიანი იყო და ამას შვილებსაც გვინერგავდა.

- ვიცით, რომ ძალიან გიყვართ ლიტერატურა და კინო, თავიდან ვინ შეგაყ ვარათ?

- ლიტერატურისა და ენის სიყვარული სკოლის მასწავლებელმა, ქალბატონმა მარინა კიკნაძემ, ჩამინერგა. კინო კი როგორც ყველას, მეც სახლიდან შემიყ ვარდა.

- რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ჩვენს სკოლაში მოსული, დედათქვენის სახელობის კაბინეტს ხედავთ?

- სიამაყის, რადგან ვფიქრობ, ამით უკვდავყავით მისი სახელი. მისი ამაგი და შრომა მომავალი თაობების აღსაზრდისთვის დაფასდა. ვიცი, ეს კაბინეტი მხოლოდ სასწავლო პროცესისთვის არ გამოიყენება, არამედ -მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვისაც. ბიბლიოთეკა კი, რომელიც ამ კაბინეტშია განთავსებული, მე და ჩემი ოჯახი ვეცდებით, რომ დროდადრო შევავსოთ.

- რას უსურვებდით ჩვენს სკოლას?

- საქართველოში თქვენი სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა და ვუსურვებ ეს სახელი, სწავლის დონე შეენარჩუნებინოს, გაეზარდოს. არაერთი მეცნიერი და პროფესორი აღუზრდია „ფიზ-მათს“ და ვიმედოვნებ, სკოლის წარმატებები კვლავ გაგრძელდება!

„საქართველოს წლის მოსწავლეთა კომპანია 2016“-ის გამარჯვებული ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო სკოლა გახდა

2015-16 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს 226 სკოლაში განხორციელდა მეწარმეობის საფუძვლების პროგრამა „Junior Archievement Georgia“. ამ პროგრამის ფრაგლებში, ექსკლუზიური უფლების საფუძველზე გამოავლინდა “საქართველოს წლის მოსწავლეთა კომპანია 2016”, რომლის დასკვნითი ეტაპი გაიმართა 29 მაისს, თბილისში.



კონკურსში - “საქართველოს წლის მოსწავლეთა კომპანია 2016” - გაიმარჯვა ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე საჯ არო სკოლის გუნდმა.

გუნდის წევრები არიან XIბ კლასის მოსწავლეები: ნინო პულუზაშვილი, ანა კახიანი, მურად ბარბაქაძე, ომარ გაბუნია (ხელმძღვანელი - ეკონომიკის მასწავლებელი ელიზბარ ბარბაქაძე). მათ შესაძლებლობა აქვთ, 2016 წლის 25-28 ივლისს, შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში, ევროპის წლის საუკეთესო კომპანიის გამოსავლენ შეჯიბრებაზე წარმოადგინონ საქართველო.

JA Europe-ის სამეწარმეო განათლების მსგავსი საერთაშორისო კონკურსები იძლევა სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეების, საგანმანათლებლო და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების გაცნობის, მათთან დაახლოებისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებას.

იურიდიული კონსულტაცია მათთვის, ვისაც ონლაინ სესხები აქვს

ძალიან ბევრ ადამიანია გაწამებული ონლაინსესხების შედეგად და შესაბამისი ინფორმაციაც არ გააჩნიათ, როგორ დააღწიონ თავი ამ კრედიტორგანიზაციების მუქარებს.

ჩვენ გთავაზობთ ადვოკატ ნატო გოგმაჩაძის იურიდიულ კონსულტაციას ონლაინ სესხებთან დაკავშირებით,თუ როგორ უნდა მოიქცეთ, როცა გაქვთ ონლაინ სესხი, ვერ გადაიხადეთ და მას გთხოვენ გასამმაგებული ოდენობით.

უპირველეს ყოვლისა, განგიმარტავთ, რომ სესხის არსებობის ფაქტი სასამართლოში შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებით (სესხის ხელშეკრულებით, ვალის აღიარების დოკუმენტით....),ან კიდევ თქვენ თავად უნდა აღიაროთ ვალის არსებობის ფაქტი. რადგანაც თქვენ სესხს ონლაინ იღებთ, ეს ნიშნავს იმას, რომ არანაირ დოკუმენტზე ხელი მოწერილი არა გაქვთ და სასამრთლოში დავის შემთხვევაში, სასამრთლო დაგაკისრებთ მხოლოდ ,,ძირ თანხას" ანუ იმას, რაც ჩაგირიცხეს .(რადგანაც ამ შემთხვაში მათ შეუძლიათ სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინონ თქვენს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დამდასტურებელი ქვითარი).

სასამრთლო არ დაგაკისრებთ სარგებელსა და გასამმაგებულ ჯ არიმას იმიტომ, რომ თქვენი მოწინააღმდეგე ვერ წარადგენს აღნიშნულის არსებობის დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტს.სწორედ იმიტომ ,რომ სასამართლო გზით გასამმაგებული თანხის აღების შანსი არა აქვთ, ისინი თანხის ამოსაღებად მიმართავენ სხვა ხერხებს. კერძოდ: იწყებენ რეკვას ტელეფონზე. არამხოლოდ თქვენთან ,არამედ თქვენი ოჯახის წევრებთანაც. გემუქრებიან სახლის ,ნივთების დაყადაღებით, გთხოვენ მათთან ოფისსი მისვლას...

განგიმარტავთ, როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ: პირველ რიგში , არ უნდა შეშინდეთ. როგორც უკვე განგიმარტეთ, მათ აქვთ მხოლოდ იმ თანხის აღების შანსი, რაც ჩაგირიცხეს. ჩაურიცხეთ მათ ანგარიშზე ეს თანხა და წერილობით აცნობეთ, რომ მათი ვალი დაფარულია.შემდეგ წერილის ასლი, ფოსტის ქვითარი და თანხის გადახდის ქვითრის ასლი შეინახეთ.(ამით სასამართლო ხარჯებს აიცილებთ თავიდან)თუ კი გიჩივლებენ, ამ ყველაფერს გამოიყ ენებთ მტკიცებულების სახით. მაგრამ აღარ გიჩივლებენ, რადგანაც სარგებლის და პროცენტის დამადასტურებელი წერილობითი ხელშეკრულება თქვენთან გაფორმებული არა აქვთ. ანუ სასამართლო პროცესის მოგების შანსი აღარ ექნებათ.

შემდეგ მუქარებს კვლავ გააგრძელებენ, მაგრამ არ უპასუხოთ სატელეფონო ზარებზე,თუკი ვინმე მოვა და გეტყვით, რომ აღმასრულებელია, გამოიძახეთ სასწრაფოდ პატრული (ამასაც აკეთებენ ხოლმე, მიდიან ვითომ დასაყადაღებლად, ბეიჯიც უკეთიათ გულზე, მიაქვთ ვალის აღიარების დოკუმენტი და ეუბნებიან, თუ ამაზე მომიწერ ხელს, აღარ დაგიყადაღებ არაფერს...).

ხელი არ მოუწეროთ არანაირ დოკუმენტზე! თავიანთ ოფისში თქვენს მიტყუებას სწორედ ამიტომ ცდილობენ, ანუ ასეთ დოკუმენტზე უნდა მოგაწერინონ ხელი(დოკუმენტში წერია, რომ თქვენ აღიარებთ ვალის სამმაგი და მეტი ოდენობით არსებობის ფაქტს). ასევე, იწერენ როგორც სატელეფონო საუბრებს, ისე - მათთან ოფისში საუბრებსაც. საუბრისას ცდილობენ, როგორმე გაღიარებინონ ვალის არსებობა, შემდეგ ამ ჩანაწერს იყენებენ მტკიცებულების სახით, ან ცდილობენ, ხელი მოგაწერინონ ვალის აღიარებაზე.

მოკლედ, გაითვალისწინეთ, ხელს არ აწერთ არაფერზე და არ აღიარებთ ვალის არსებობას მათთან საუბრისას. იხდით მხოლოდ ძირ თანხას.

ადვოკატი ნატო გოგმაჩაძე
nocreditsonline.ge

მესხური ტერასების ახალი სიცოცხლე

სამცხე-ჯავახეთში, ხიზაბავრის ისტორიულ მესხურ ტერასებს სიცოცხლე უბრუნდებათ. ტერასების პირველი 12 ha უკვე აღდგენილია. აქ მესხური ვაზის 18 უიშვიათესი ჯიში გაშენდება, ნახევარი მილიონის ინვესტიცია ჩაიდება, რაც ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიულ მიმართულებას კვლავ ააღორძინებს.

საქართველოს ამ უძველეს და ულამაზეს მხარეში ვაზის მოშენებასა და ღვინის დაყენებას უდიდეს ყურადღებას რომ უთმობდნენ, ამაზე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ძველისძველი ქვევრები და მარნებიც მეტყველებს. ივანე ჯავახიშვილის ჩანაწერების მიხედვით ცნობილია, რომ „ამ ადგილების მთაგორიანობა და მიწის სიმცირე ჩვენს წინაპარს აიძულებდა, ვენახები უმთავრესად ხელოვნურად დაბაქნებულ, მოვაკებულ ნიადაგებზე გაეშენებინათ".

10 წელია, რაც მესხური ტერასების აღდგენის იდეის განხორციელებისთვის უნიკალურ ვაზის ჯიშებს მთელ საქართველოში აგროვებს აქაური მკვიდრი, გიორგი ნათენაძე, თუმცა ტერასების აღდგენის გრანდიოზული პროექტის დაწყება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც გიორგი ნათენაძემ და „თიბისი ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მამუკა ხაზარაძემ ერთმანეთი ჟურნალისტ ოლიკო ბაბლუანის გადაცემაში გაიცნეს. შემდგომ კი სპეციალურად ამ პროექტის განსახორციელებლად შეიქმნა ორგანიზაცია „ვარძიის ტერასები", რომლის დამფუძნებლები თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მამუკა ხაზარაძე, მისი მოადგილე ბადრი ჯაფარიძე და გიორგი ნათენაძე არიან.

„მესხური ტერასები თურქობის დროს განადგურდა და მოსახლეობამ ვაზი დაივიწყა. აქაურთა დიდი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში გადასახლდა და ზოგიერთი ვაზის ჯიშიც წაიღო, რითაც ისინი გადაშენებას გადაარჩინეს „- ამბობს „ვარძიის ტერასების" დირექტორი გიორგი ნათენაძე და იმ პერიოდს იხსენებს, როცა 10 წლის წინ მესხური ჯიშების მოძიებას მამის თხოვნით შეუდგა, თუმცა ეს საქმე მაშინ უტოპიად და უპერსპექტივოდ ეჩვენებოდა.

ამჯერად კი, გიორგი ნათენაძე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ხიზაბავრის ტერასებზე ვაზის ჩასაყრელად ჩამოსული ქართული საზოგადოების მთავარი მასპინძელი იყო...

აღდგენილ ტერასებზე ვაზის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალს საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო და სხვა სტუმრებთან ერთად, თავადაც დარგო „თამარის ვაზი"-ს ერთი ნერგი.

"ეს არის ადგილი, სადაც თამარ მეფემ ფეხშიშველმა გაიარა იმისთვის, რომ ელოცა ქვეყნის გამარჯვებისთვის და ვაზი, რომელიც დღეს ირგვება, არის თამარ მეფის სახელის მქონე ჯიშის ვაზი. ეს სიმბოლურია და შემთხვევითი არ არის. ეს არის საქართველოს აღორძინების ძალიან მკაფიო ნიშანი.

ძნელია, აღწერო ის ემოცია, რომელიც ახლა მე გამაჩნია. უდიდესი საქმე გაკეთდა. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო მივიწყებული, აღვადგინეთ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მამუკა ხაზარაძეს, ბადრი ჯაფარიძეს, გიორგი ნათენაძეს, მეუფე თეოდორეს, საქართველოს ეკლესიას თანადგომისთვის და განსაკუთრებული მადლობა მესხური ტერასების აღდგენის პროცესში დასაქმებულ ადამიანებს, სხვადასხვა პროფილის ხელოსნებს."- განაცხადა თავის მისასალმებელ სიტყვაში მთავრობის მეთაურმა.

ისტორიულ ტერასებზე ვაზის ჩაყრას ესწრებოდნენ ასევე:ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი, ჯიღაურას საჯიშე მეურნეობის ხელმძღვანელი ლევან უჯმაჯურიძე, ასევე – ფერმერთა ასოციაციის, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის და მედიის წარმომადგენლები.

მამუკა ხაზარაძემ კი მესხურ ტერასებზე ვაზის ჩაყრას მსოფლიო მნიშვნელობის დღე უწოდა და განაცხადა:" დღეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე ამ სოფლისთვის, ამ მხარისთვის, საქართველოსთვის და მე ვფიქრობ, – მთელი მსოფლიოსთვის. არ ვაჭარბებ, როცა ამას ვამბობ, რამეთუ, მოგეხსენებათ, რომ საქართველო არის ღვინის ქვეყანა და სწორედ ღვინო დაიწყო ამ კუთხიდან, აქ აღორძინდა და აქ ჩაეყარა საფუძველი იმას, რითაც დღეს ჩვენ ვამაყობთ მთელს მსოფლიოში – ქართული ღვინით და ქართული ვაზით. სულ მალე მსოფლიოს მეღვინეობას ექნება საშუალება, რომ დააგემოვნონ ამ ტერასებზე მოყვანილი ისეთი ჯიშების ღვინოები, რომლებიც სხვაგან, მთელ მსოფლიოში არსად არ არის. ეს არის ამ კუთხის და ამ საქმის უნიკალურობა.

დიდი მადლობა გიორგი ნათენაძეს და ყველა იმ გლეხს, რომელმაც ეს ჯიშები თავიანთი წინაპრებისგან თითო-თითო ეგზემპლიარად შემოინახა და ჩვენ, ბატონ ლევან უჯმაჯურიძისა და სხვა ჩვენი არაჩვეულებრივი მევენახეებისა თუ მეცნიერების დახმარებით მათი გამრავლების საშუალება მოგვეცა."

წელს ჩაყრილი ვაზის მოსავალს დაახლოებით სამ წელიწადში ელოდებიან. ამ იშვიათი მესხური ჯიშების ყურძნისგან საუკეთესო ღვინის დაყენებას კი პროექტის დამფუძნებლები მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო ქართველ მეღვინეს, ბატონ ლადო უზუნაშვილს ანდობენ, რომელიც თავადაც აქტიურად იყო ჩართული ჯიშების მოძიებასა და შერჩევაში.

***

იმავე დღეს პროექტის ორგანიზატორებმა სტუმრებს წარუდგინეს კიდევ ერთი პროექტი, რომელიც უძველესი სოფლის, ჭაჭკარის (ვარძიის მიმდებარედ) რეაბილიტაციას ითვალისწინებს. პროექტი გულისხმობს უნიკალური ისტორიული ძეგლის გაცოცხლებას და მისთვის ტურისტული დატვირთვის მინიჭებას.

გადმოცემის მიხედვით, ჭაჭკარიდან ხდებოდა ვარძიის სამეურნეო მარაგის შევსება: კლდეში ნაკვეთ საწნახელებში დიდი რაოდენობის ღვინო იწურებოდა. ღვინო ტიკებით ვარძიაში შეჰქონდათ, სადაც ქვევრებში აყენებდნენ, ჭაჭა კი – სოფელში რჩებოდა. ვარაუდობენ, რომ სოფლის სახელწოდება ჭაჭკარი („ჭაჭის კარი") სწორედ აქედან მოდის. სოფელში, გარდა დაზიანებული ტერასებისა და 50–მდე კლდეში ნაკვეთი საწნახელისა, დღემდე შემორჩენილია 4 საუკუნოვანი ვაზიც. აქვეა კლდეში გამოკვეთილი საცხოვრებელი დარბაზი და წმ. გიორგის ეკლესია, ხალხური საცხოვრებლის ნიმუშები (მიწურ–ბანიანი სახლები, მესხური დარბაზები) და სხვ. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ჭაჭკარი უძველესი მეურნეობის მქონე სოფელია.

სოფელს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

სოფელ ჭაჭკარის რევიტალიზაცია არის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, თიბისი ფონდისა და კავშირ „ქართული სახლის" ერთობლივი ინიციატივა.

პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მესხური ტერასების აღდგენით სამცხე-ჯავახეთში არამარტო უძველესი ტრადიციის, მეღვინეობა-მევენახეობის გაცოცხლება მოხდება, არამედ მას უდიდესი კულტურული და ეკონომიკური დატვირთვა აქვს, ვინაიდან სოფელ ხიზაბავრში გაშენებული ტერასები სამცხე-ჯავახეთის ტურისტული პოტენციალის გაზრდას შეუწყობს ხელს. რაბათის ციხე, ხერთვისი, ვარძია, განახლებული ჭაჭკარი და მესხური ტერასები მთლიანობაში ერთ ტურისტულ მარშრუტს ქმნის, რომელიც უცხოელი სტუმრებისთვის საინტერესო და მიმზიდველი იქნება.

ნატო გუგელაძე

წყარო: საქართველოს სომელიეთა ასოციაცია ,www.sommeller.ge

„მოდინახე 2016" თბილისელი ნინო გუგეშაშვილის გამარჯვებით დასრულდა

ლიტერატურული კონკურსი „მოდინახე 2016" დასრულდა. კონკურსის ფინალი გაიმართა 28 მაისს (ტრადიციულად, მაისის ბოლო შაბათს).

კონკურსის გენერალური სპონსორი „ჯორჯიან მანგანეზია", რომელიც მესამე წელია, ფარავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც კონკურსის პირობების მიხედვით არის გათვალისწინებული.

კონკურსის ფინალში გასული 10 მონაწილე საჩხერეში სოციალურ კაფე „ნაბიჯში" იქნა მიწვეული, საიდანაც საპატიო სტუმრებთან და ჟიურის წევრებთან ერთად გაემართნენ აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში.

აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმში გამოცხადდა სამი პრიზიორი, რომლებსაც გადაეცათ ფულადი პრიზები. პირველი ადგილის მფლობელი გახდა თბილისელი ნინო გუგეშაშვილი, მეორე ადგილოსანია თელაველი მარიამ კოზმანიშვილი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელია ნინო მოდრეკილაძე.

დანარჩენი მონაწილეებისათვის სიმპატიის პრიზები დააწესეს „საქართველოს მინერალური რესურსების კომპანიამ" და „ფრაიბურგმა".

ფინალისტებისთვის ორი დღის განმავლობაში მცირე საექსკურსიო ტურების გარდა იყო სახელოვნებო მონაკვეთი _ ჭიათურის დრამატულ თეატრში საჩხერე-ჭიათურის სტუმრებმა ნახეს სპექტაკლი „გეტო". სპექტაკლი შეიძინა ქართველმა ემიგრანტებმა კონკურსის მონაწილეებისათვის და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის.

ფინალისტთა შორის აღმოჩნდა ერთი ემიგრანტი _ თეონა კიკვაძე, რომელმაც თავისი კუთვნილი პრიზი გადაურიცხა ერთ ლეიკემიით დაავადებულ მცირეწლოვანს.

კონკურსის საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებდა გაზეთები „ინდუსტრიული მაცნე" და „პოსტკრიპტუმი", ასევე სამაუწყებლო კომპანია „იმერვიზია".

ელისო ხოჯანაშვილი